# მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA, CITY HALL OF MESTIA MUNICIPALITY

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება №241-02
2020 წლის 11 ნოემბერი
დ. მესტია

## საკონკურსო კომისიის თავჯდომარედ ქეთევან ხარძიანის დანიშვნის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N 204 დადგენილების მე-14, მე-15 და მე-18 მუხლების საფიძველზე

ვბრძანებ:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავჯდომარედ დაინიშნოს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი-ქეთევან ხარძიანი.
2. კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვროს კომისიის თავმჯდომარის მიერ, აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით, ვაკანტური თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე.
3. ბრძანება ამოქმედდეს,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რევაზ ლაღიძის ქ.N 12).

კაპიტონ ჟორჟოლიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

ინდ: 3200.დ.მესტია
სეტის მოედანი N–1
gamgeobamestia@yahoo.com
ტელ: +995 591 05 92 38
ვებგვერდი: www.mestia.ge